შეუძლია თუ არა საჯარო სექტორს მოახდინოს ინტელექტუალური მიგრაციის პრევენცია?

ანა მარგებაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

ანოტაცია

ინტელექტუალური მიგრაცია ფენომენია, რომლის დროსაც მაღალკვალიფიციური და განათლებული ადამიანები საჯარო სექტორს ტოვებენ, რათა მოიძიონ შესაძლებლობები როგორც კერძო სექტორში, ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ეს საკითხი მთელს მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოშიც ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან იგი ამცირებს ინტელექტუალურ კაპიტალს და აფერხებს ადგილობრივი განვითარების სხვადასხვა მცდელობებს.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს თუ რამდენადაა შესაძლებელო საჯარო სექტორის დახმარებით ინტელექტუალური მიგრაციის შეჩერება, ამის სხვა რა ბერკეტები არსებობს და ზოგადად რა იწვევს საქართველოში, ან საქართველოს მსგავს ქვეყნებში, ინტელექტუალური მიგრაციის ფენომენს.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა სწავლობს მიგრაციის შედეგებს საჯარო სექტორის ინსტიტუტებზე, ადგილობრივ ეკონომიკასა და მათ შორის, რა საკვირველია, საზოგადოების განვითარებაზე. იგი იკვლევს უარყოფით გავლენას ინოვაციებზე, ჯანდაცვაზე, განათლებასა და ყველა დემოკრატიულ, განვითარებულ ქვეყანაში არსებულ მთავარ სექტორებზე. ასევე, ნამშრომი ხაზს უსვამს გამოცდილი ინდივიდებისა და პროფესიონალების დაკარგვის უარყოფით გავლენას მათი მშობლიური ქვეყნების საერთო პროგრესზე.

მოცემული კვლევა მიმართულია იმისაკენ, რომ წვლილი შეიტანოს პოტენციური სტრატეგიებისა და ინტერვენციების შემუშავებაში, რომლებიც საჯარო სექტორებსა და მთავრობებს შეუძლიათ გაატარონ გამოცდილი და პროფესიონალი ინდივიდების მიგრაციის შესამცირებლად. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სტრატეგიები მოიცავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ფრიად ხელსაყრელი იქნება პროფესიული ზრდისთვის, მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად, შესაბამისი კვალიფიკაციის

მქონე პროფესიონალებისთვის მაღალი ანაზღაურების გაცემას და სხვა მსგავს საკითხებს.

Annotation

Intellectual migration is a phenomenon in which highly qualified and educated individuals leave the public sector to pursue opportunities as private citizens or outside national borders. These actions pose significant challenges worldwide, including in Georgia, as they result from the outflow of intellectual capital and hinder various regional development efforts.

In my master's thesis, I will examine the extent to which it is possible to prevent intellectual migration with the support of the public sector, explore other existing preventive measures, and investigate the general causes of the phenomenon of intellectual migration in Georgia and similar countries.

As part of my master's thesis, I will conduct research on public institutions in relation to migration, economic development, and, perhaps unsurprisingly, social development. The research will examine negative impacts on innovations in crutial areas, such as health care, education, and other central domains within democratically developed countries. It aims to highlight the adverse affects of the loss of skilled individuals and professionals on the overall progress of their home countries.

The reaserch aims to contribute to potential strategies and interventions that public sectors and governments can implement to reduce the migration of skilled and professional individuals. Therefore, these strategies include creating an envsironment higly conducive to professional growth, offering high-quality education, providing competitive salaries for qualified professionals, and addressing similar issues.